სიორენ კირკეგორი

Søren Kierkegaard

სატანჯველის სახარება

თარგმანი შესრულებულია გერმანული ენიდან

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

„ამ ქრისტიანული საუბრების (რომლებიც მრავალი მიმართებით არ წარმოადგენს ქადაგებებს და ამიტომ ასევე მრავალი მიზეზით არ არის ასე წოდებული) დანიშნულება ისაა, რომ „ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინოთ თავისუფალ წუთს“, მაგრამ თუ ერთადერთი ტანჯული, რომელსაც, შესაძლოა, აზრთა სიმრავლეში აებნა გზა, მათი წაკითხვისას შვებით ამოისუნთქავს მძიმე წუთს, ჩვენს კვალს მოაგნებს, რომელიც სწორედ ამ აზრებს მიჰყვება: ასეთ შემთხვევაში ავტორი სინანულს არ გამოთქვამს იმის გამო, რისი დაწერაც გადაწყვიტა“. — სიორენ კირკეგორი.

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
რედაქტორი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-საიტი: AKTI.GE

© iBooks
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3811-8

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 4

სიორენ კირკეგორი
სატანჯველის სახარება

წინასიტყვაობა.....9
ღოცვა 9
I. რას ნიშნავს ქრისტეს მიმდევრობა
და რა სიხარულია ამაში..... 10
II. როგორ შეიძლება, რომ ტვირთი მსუბუქი
იყოს, თუ სატანჯველია მძიმე..... 29
III. სიხარული იმაშია, რომ სატანჯველის
სკოლა მარადიულობისთვის გვამზადებს 56
IV. სიხარული იმაშია, რომ ღმერთთან მიმართებით
ადამიანი არასოდეს იტანჯება უდანაშაულოდ 81
V. სიხარული იმაშია, რომ გზა კი არ არის
ვიწრო, არამედ თვით სივიწროვეა გზა.....121
VI. სიხარული იმაშია, რომ თუნდაც
დროებითი სატანჯველი უკიდურესად მძიმე
იყოს, მარადიული ნეტარება მაინც გადაწონის მას 146
VII. სიხარული იმაშია, რომ ადამიანს წმინდა
გულითა და თავისუფალს, შეუძლია ტანჯვით
აიშოროს ქვეყნის ძალაუფლება საკუთარ თავზე
და შესწევს ძალა, უღირსობა ღირსებად აქციოს,
მარცხი კი გამარჯვებად 168

გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები 201

მთარგმნელის წინასიტყვაობა

თავის ქრისტიანულ საუბრებსა და ფილოსოფიურ შრომებში სიორენ კირკეგორი გამუდმებით ერთსა და იმავე კითხვას სვამს: რას ნიშნავს, იყო ქრისტიანი? როგორი უნდა იყოს ქრისტიანი? კირკეგორი ამ კითხვებზე პასუხის გაცემას სრული სისავსით ცდილობდა, მათ შორის წინამდებარე წიგნით.

კირკეგორისათვის – იყო ქრისტიანი, ნიშნავს უსასრულოდ ენდობოდე ღმერთს მის მიმდევრობაში, ხოლო ღმერთის ასეთი უსასრულო ნდობა მიმდევრობაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით – როდესაც ქრისტიანი სატანჯველშია.

მსოფლიო, რომელშიც კირკეგორი ცხოვრობდა, რომელშიც ცხოვრობდა ევროპა XX საუკუნეში, იყო კეთილდღეობის ქრისტიანობა, სამყარო კეთილდღეობაში მყოფი ეკლესიისა, ეს კეთილდღეობა კი საბოლოოდ კატასტროფაში გადაიზარდა. კირკეგორი კი ყოველთვის მწვავედ გრძნობდა, რომ ასეთი ქრისტიანობა ყველაზე დიდი დამანგრეველი ძალა იყო, რომელსაც სამყაროს განადგურება შეეძლო. საბოლოოდ ასეც მოხდა: კეთილდღეობის ქრისტიანობამ ააფეთქა სამყარო. რევოლუციები, ომები, მრავალგვარი პროტესტი, რომლებითაცაა შეფერადებული საზოგადოების ცხოვრება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – ეს ყველაფერი რეაქციაა კეთილდღეობის ქრისტიანობაზე.

მაგრამ შესაძლებელი კია, რომ ეკლესია კეთილდღეობაში იყოს? შესაძლებელია, რომ ქრისტიანი, თუკი ის ქრისტიანია, კეთილდღეობაში იყოს? სწორედ რომ კეთილდღეობას უკავშირდება ადამიანთა უნდობლობა ეკლესი-

ისადმი. როდესაც ეკლესია დევნას განიცდიდა, როდესაც ის წნეხის ქვეშ იყო, ეკლესიის ყველაზე მშვიდი სიტყვაც კი მრავალთა ყურადღებას იპყრობდა. მაგრამ ახლა, როდესაც ქრისტიანობა ცდილობს ხმამაღლა ისაუბროს, მისი ხმა შესაძლოა დარჩეს ხმად მღაღადებლისა. რატომ? – რადგან ეს შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც გარეშე, როგორც კეთილდღეობის ნიშანი, ნიშანი სატანჯველში ქრისტეს მიმდევრობის მოშთობისა. სწორედ ამ სიტუაციაშია მნიშვნელოვანი კირკეგორის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორია ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა გაჰყვეს ქრისტეს, გადაწყვიტა ეწოდებოდეს ქრისტიანი.

ქრისტიანობა არ ნიშნავს ყოველ კვირადღეს წირვაზე დასწრებას, მარხვის შენახვასა თუ ეკლესიის ტრადიციების დაცვას. კირკეგორის აზრით, ქრისტიანი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება იმით, თუ როგორ მიჰყვება ის ქრისტეს, სახარება კი საშუალებას აძლევს ადამიანს, დაინახოს საკუთარი თავი. „მორწმუნე ქრისტიანი“, – ამბობს კირკეგორი, – „არის ის, ვინც ქრისტეს მიჰყვება, ქრისტეს მიმდევრობა კი ჯვრის ყოველდღიური გამუდმებული ზიდვაა“.

მეტიც, კირკეგორი იმასაც ამბობს, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი ის კი არ არის, ვინც ქრისტეს თითქოს ხელით მიჰყავს თავის გვერდით, და არც ის, ვინც თავის წინ მიმავალ ქრისტეს ხედავს, არამედ ეს ნიშნავს მარტო სიარულს, სივიწროვეში, რადგან თვით სივიწროვეა გზა.

კირკეგორი საუბრობს სატანჯველის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუძლოს ქრისტიანმა სატანჯველს და რატომ უნდა უმადლოდეს სატანჯველს ღმერთს. „გზა ქრისტეს მიმდევრობისა საუკუნოდ საიმედოა და მისი გავლა ყოველთვის შეიძლება; სატანჯველი ამ გზაზე სასიხარულო ნიშანია იმისა, რომ შენი გზა მართებულია“, – ამბობს კირკეგორი.

უკიდურესად ღრმა აზრია ჩადებული იმ შეხედულებაში, რომ, კირკეგორის აზრით, ღმერთთან მიმართებით ადამიანი არასოდეს იტანჯება უდანაშაულოდ, ეს კი სასიხარულოა, ისევე სასიხარულოა როგორც ის, რომ ქრისტიანის გზა კი არ არის ვიწრო, არამედ თვით სივიწროვეა გზა.

უნდა ითქვას, რომ კირკეგორი სატანჯველის, ტანჯვის გარეშე არ აღიარებს მარადიულ ნეტარებას და არაერთი მაგალითის მოხმობით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს სატანჯველი, მარადიული ნეტარება მაინც მასზე ძვირფასია და ყოველთვის გადაწონის მას.

ამ ყველაფრის განხორციელება მხოლოდ გულისმიერი სიწმინდითა და თავისუფლებითაა შესაძლებელი, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს უღირსობა ღირსებად აქციოს, ხოლო მარცხი – გამარჯვებად.

და თუ ეს ასეა, „მაშ, მოდით, თითოეული ცალკე და დამოუკიდებლად დავდგეთ ამ განძის მხარეს, ამ სასიხარულო აზრისა გულისმიერი სიწმინდისა და თავისუფლების შესახებ, რათა არავინ წაგვართვას გულისმიერი სიწმინდე და თავისუფლება, თუნდაც მზად ვიყოთ იმის აღიარებისთვის, რომ ჩვენი ბრძოლა ამქვეყნად სრულიად უმნიშვნელოა იმ გასაოცარ ადამიანთა ბრძოლასთან შედარებით, რომლებსაც საკუთარ გამოცდაში უსაშინლესი უნდა გადაეწყვიტათ, ამ დროს ხომ სრულიადაც არ არის უმნიშვნელო, დავკარგავთ თუ არა ჩვენს უმნიშვნელო ბრძოლაში გულისმიერ სიწმინდესა და თავისუფლებას“ – ასკვნის ფილოსოფოსი.

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი

სიორენ კირკეგორი

სატანჯველის სახარება

წინასიტყვაობა

ამ ქრისტიანული საუბრების (რომლებიც მრავალი მიმართებით არ წარმოადგენს ქადაგებებს და ამიტომ ასევე მრავალი მიზეზით არ არის ასე წოდებული) დანიშნულება ისაა, რომ „ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინოთ თავისუფალ წუთს“, მაგრამ თუ ერთადერთი ტანჯული, რომელსაც, შესაძლოა, აზრთა სიმრავლეში აებნა გზა, მათი წაკითხვისას შვებით ამოისუნთქავს მძიმე წუთს, ჩვენს კვალს მოაგნებს, რომელიც სწორედ ამ აზრებს მიჰყვება: ასეთ შემთხვევაში ავტორი სინანულს არ გამოთქვამს იმის გამო, რისი დაწერაც გადაწყვიტა.

ლოცვა

შენ, ვინც ოდესღაც თავად დაეხეტებოდი დედამიწაზე, ტოვებდი რა კვალს, რომელსაც ჩვენ უნდა გავყოლოდით; შენ, ვინც ზეციდან უმზერ ყველა ყარიბს, მხარს უმაგრებ დაქანცულს, ამხნევებ გულგატეხილს, გზაზე აბრუნებ გზააბნეულს, ანუგეშებ მებრძოლს: შენ, ვინც ჟამთა აღსასრულს კვლავ უნდა მოხვიდე იმისათვის, რათა განსაჯო ყოველი, ვინც შენ არ მოგყვებოდა; ღმერთო ჩვენო და მხსნელო ჩვენო, დე მუდამ ეჩვენოს ჩვენს სულიერ მზერას შენი ხატი, ნისლის განმქარვებელი; განგვამტკიცე ჩვენ, რათა მხოლოდ მას ვუმზიროთ უწყვეტად, რათა ჩვენ, შენმა მსგავსებმა და შენი წინამძღოლობით, ვიპოვოთ სათნო გზა შენი სამსჯავროსკენ; ხომ იმისათვის იბადება ყოველი ადამიანი, რომ შენი სამსჯავროს წინაშე წარდგეს, და ასევე იმისათვის, რათა მარადიული ნეტარება პოვოს შენით სხვა სამყაროში. ამინ.

I. რას ნიშნავს ქრისტეს მიმდევრობა და რა სიხარულია ამაში

ლუკა, 14:27. „ვინც არ ატარებს თავის ჯვარს და ისე არ გამომყვება, ვერ გახდება ჩემი მოწაფე“.

ცხოვრებისეულ გზაზე მეთაურობის ნაკლებობას არ განვიცდით, რაც არც არის გასაკვირი, როდესაც ყველა ცდომილება საკუთარ თავს მეთაურობად ასაღებს. მაგრამ თუ ცდომილება ბევრია, ჭეშმარიტება მაინც ერთია, და ერთადერთია „გზა და ცხოვრება“, მხოლოდ ერთ მეთაურობას მიჰყავს ადამიანი ცხოვრების გზაზე ცხოვრებისკენ. ათასობით ადამიანი ატარებს ამ სახელს, რომელიც იმის შესახებ ღაღადებს, რომ მათ ეს მეთაურობა აირჩიეს, რომ ისინი უფალ იესო ქრისტეს ეკუთვნიან და მისი სახელით უწოდებენ საკუთარ თავს ქრისტიანებს, რომ ისინი მსახურებას აღუვლენენ მას, თუნდაც სხვა დანარჩენში ბატონები ან მსახურები, მონები ან თავისუფლები, მამაკაცები ან ქალები იყვნენ. ისინი საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებენ და ასევე სხვა სახელებს, რომელთაგან თითოეული თავისებურად ადასტურებს მათ მიერ არჩეულ მეთაურობას. ისინი მორწმუნეებს უწოდებენ საკუთარ თავს, ადასტურებენ რა ამით, რომ ამქვეყნად ყარიბები, სტუმრები და დევნილები არიან; ჯოხი, რომელიც ხელთ უპყრიათ, ისიც კი არ არის უდავო ნიშანი იმისა, რომ მისი მფლობელი ყარიბია (მრავალი დადის ჯოხით და სულაც არ არის ყარიბი), როგორც უდავოა, რომ ის, ვინც საკუ-

თარ თავს მორწმუნეს უწოდებს, ამით ყველას წინაშე მოწმობს, რომ ის ყარიბია, რადგან რწმენა ხომ სწორედ ამას ნიშნავს: ის, რასაც ვეძებ, აქ არ არის, ამიტომაც მწამს ამისი. რწმენა სახელდობრ ნიშნავს ღრმა, ძლიერ, ნეტარ შეშფოთებას, რაც მორწმუნეს უბიძგებს, არ დამშვიდდეს ამ ქვეყანაში, ასე რომ, ის, ვინც სრულ სიმშვიდეს მიაღწია, მორწმუნეც აღარ არის; მორწმუნეს ხომ არ შეუძლია უბრალოდ უძრავად იჯდეს, როგორც სხედან ხოლმე, როდესაც ხელთ ყარიბის ჯოხი უპყრიათ; მორწმუნე იღწვის; ისინი საკუთარ თავს „წმინდანთა კრებულად“ მოიხსენიებენ, ხაზს უსვამენ რა ამით იმას, რაც მართებთ და რაც უნდა იყვნენ, რად ქცევის იმედიც აქვთ, როდესაც რწმენა გაუქმდება[1] და დასრულდება ყარიბობა. ისინი საკუთარ თავებს „ჯვრის საძმოს“ უწოდებენ, ადასტურებენ რა ამით, რომ მათი მიწიერი გზა იოლი არ არის როგორც ცეკვა, არამედ მძიმე და დამქანცველია, როგორც გემი, რომელიც ზურგის ქარის დახმარებით მიქრის იალქნების ქვეშ, იმავდროულად კი ცხვირით ტალღებს მიაპობს ოკეანეში. ასევე, ქრისტიანის გზაც იოლია, თუ მას ზევიდან დავხედავთ, მაგრამ მძიმეა, თუ საფუძველში დამკვიდრებულ დამქანცველ შრომას შევავლებთ თვალს. ისინი საკუთარ თავს „ქრისტეს მიმდევრებს“ უწოდებენ, და სწორედ ამ სახელზე შევჩერდებით უფრო დეტალურად ამჯერად, განვიხილავთ რა იმას, თუ რას ნიშნავს ქრისტეს გაყოლა და რა სიხარულია ამაში.

როდესაც მამაცი მეომარი გაბედულად მიიწევს წინ, უშვერს რა მკერდს მოწინააღმდეგის ისრებს, ზურგით კი მეეტლეს ფარავს, რომელიც მას უკან მიჰყვება: შეიძლება თუ არა ასეთ დროს ითქვას, რომ მეეტლე მას მიჰყვება? როდესაც მოსიყვარულე ცოლი ადამიანში, რომელიც

1. მათე, 20:28.

მას ყველაზე მეტად უყვარს, რაც კი ამქვეყნად არსებობს, თავის ქმარში ხედავს შესანიშნავ მაგალითს იმისა, რის მიღწევასაც იგი ისურვებდა ცხოვრებაში, და, აი, ის ქალურად (და მაინც, ქალი ხომ მამაკაცის ნეკნიდან შეიქმნა) მიჰყვება მას გვერდით და ყველაფერში მას ეყრდნობა, შეიძლება თუ არა ასეთ დროს ითქვას, რომ ასეთი ცოლი ქმარს მიჰყვება? როდესაც უშიშარი მასწავლებელი მშვიდად დგას მოედანზე, მლანძღველებით გარშემორტყმული და შურით დევნილი; როდესაც ყველა გამოხტომა მხოლოდ მისკენაა მიმართული, ხოლო მასთან თანხმობაში მყოფი მომხრე თავს არასოდეს ავლენს, შეიძლება თუ არა ასეთ დროს ითქვას, რომ მომხრე მას მიჰყვება? როდესაც ქათამი მოახლოებულ მტერს ხედავს და ფრთებს შლის, რათა წიწილებს გადაეფაროს, რომლებიც მას მისდევენ, შეიძლება თუ არა ასეთ დროს ითქვას, რომ წიწილები ქათამს მისდევენ? – არა, აქ ამას ვერ იტყვით; ამისათვის ურთიერთობა სხვაგვარი უნდა გახდეს. მამაცი მეომარი გვერდზე უნდა გადგეს, რათა დაინახოს, გაჰყვება თუ არა მას მეეტლე – გაჰყვება თუ არა ნამდვილ განსაცდელში, როდესაც ისრები პირდაპირ მკერდსაა დამიზნებული; ან ის ლაჩრულად ზურგს უჩვენებს საფრთხეს და, მოისაკლისებს რა მამაცის მხარდაჭერას, თავადაც დაკარგავს სიმამაცეს. კეთილშობილი ქმარი; ოჰ, ის განზე უნდა გადგეს, სხვა სამყაროში გადაბარგდეს, რათა თვალსაჩინო გახდეს, გაჰყვება თუ არა მას დამწუხრებული ქვრივი, მას შემდეგ, რაც მის მხარდაჭერას დაკარგავს; ან ის, მხარდაჭერის დაკარგვის შემდეგ, მის მაგალითსაც დაივიწყებს. უშიშარი მასწავლებელი უნდა დაიმალოს ან სამარემ დაფაროს იგი, რათა დავინახოთ, გაჰყვება თუ არა მას მისი მომხრე, გაძლებს თუ არა მოედანზე მლანძღველებს შორის, შურით დევნილი; ან ის ცხოვრებაში სამარცხვინოდ დატოვებს ამ ადგილს, რადგან აღარ ეგულება გვერდით მასწავლებელი,

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე
ანტიქრისტე
ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
სიკეთისა და ბოროტების მიღმა

კარლ იასპერსი
ნიცშე და ქრისტიანობა
ფილოსოფიის შესავალი

სიორენ კირკეგორი
შიში და თრთოლვა
სატანჯველის სახარება

ზიგმუნდ ფროიდი
სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
მოსე და მონოთეიზმი
ეგო და ID

ლევ შესტოვი
უსაფუძვლობის აპოთეოზი
შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

ბერტრან რასელი
ესეები
ქორწინება და მორალი

ედმუნდ ჰუსერლი
ამსტერდამული მოხსენებები

მიგელ დე უნამუნო
ქრისტიანობის აგონია

ნიკოლაი ბერდიაევი
ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

იმანუელ კანტი
მარადიული მშვიდობისკენ

ერიხ ფრომი
ადამიანის სული

სვამი ვივეკანანდა
ძველი ინდური ფილოსოფია
შთაგონებული საუბრები
კარმა-იოგა
მედიტაცია და მისი მეთოდები

მერაბ მამარდაშვილი
ცნობიერება და ცივილიზაცია
რაციონალურობის კლასიკური და
არაკლასიკური იდეალები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი
ეტიუდები სიყვარულზე

გუსტავ ლე ბონი
მასების ფსიქოლოგია
ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი
თავისუფლება ცნობილისგან
სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
მედიტაცია

ოშო
რა არის მედიტაცია?
სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ემა გოლდმანი
ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დევიდ ლოურენსი
ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა
ომის მეტაფიზიკა

ჯორჯ ბერკლი
ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

მაჰათმა განდი
გზა ღმერთისაკენ

გიორგი გურჯიევი
დანახული რეალური სამყაროდან
ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II

ეკჰარტ ტოლე
აწმყოს ძალა

ირაკლი ბრაჭული
ზეკაცის ჰერმენევტიკა: ჰიეროფანიები
და ენერგეტიკული პარადიგმები